
იურიდიული ლიტერატურის მიმოხილვა

ვოლფგანგ გაული, კონსტიტუციის შემუშავება და მიღება საქართველოში (1993-1995),
თბილისი, 2002, 455, ISBN-99928-0-447-5

კონსტიტუცია უდავოდ უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი აქტია, რომელიც ასახავს სახელმწიფოს ყველა ძირითად ფასეულობას, ქვეყნის ტრადიციებსა და კულტურულ თავისებურებებს.

ნაშრომის გამოცემას, რომელიც აღწერს საქართველოს კონსტიტუციის შემუშავებისა და მიღების პროცესს, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული კონსტიტუციონალიზმის განვითარებისათვის. ეს ნაშრომი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს კონსტიტუციონალიზმის ისტორიით დაინტერესებულ პირთათვის სისტემატიზებული სახით, სამწუხაროდ, ხელმისაწვდომი არ არის ქვეყნის კონსტიტუციის შემუშავებასთან დაკავშირებული მასალები.

ნაშრომში გამოყენებულია არა მხოლოდ მდიდარი დოკუმენტური მასალები, არამედ ის ინტერვიუები, რომლებიც ავტორმა ჩაინერა კონსტიტუციის შემუშავებისა და მიღების პროცესის უშუალო მონაწილეებთან შეხვედრის დროს.

საგულისხმოა და, ალბათ, დამაფიქრებელიც, რომ ასეთი კომპლექსური კვლევა, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის შემუშავებისა და მიღების პერიპეტიებს ეძღვნება, განახორციელა არა ქართველმა, არამედ უცხოელმა მკვლევარმა. ნაშრომში განხილულია საქართველოს კონსტიტუციის ძირითადად ის ნაწილები, რომლებიც ეხებიან სახელისუფლო სტრუქტურების საქმიანობას. სამწუხაროა, რომ ნაშრომის ყურადღების მიღმა დარჩა კონსტიტუციის იმ ნაწილების შემუშავების პროცესი, რომლებიც ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, ასევე ქვეყნის ტერიტორიული მონაცემების საკითხებს მოიცავს. ნაშრომში მათი განხილვა ხელს შეუწყობდა კონსტიტუციის შესაბამისი დებულებების განმარტებასა და გამოყენებას.

კმაყოფილებით უნდა აღინიშნოს გერმანულ ენაზე შესრულებული ნაშრომის ბრწყინვალე ქართული თარგმანი, რომელიც ეკუთვნის *კონსტანტინე კუბლაშვილს*. გერმანული ენის სირთულის მიუხედავად, ქართული თარგმანი შესანიშნავად იკითხება, რაც მკითხველს აძლევს საშუალებას, ღრმად ჩასწვდეს ავტორის ნააზრევს.

ნაშრომი უდავოდ მნიშვნელოვანი შენაძენია როგორც იურისტებისა და პოლიტიკოსებისათვის, ისე კონსტიტუციონალიზმით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრისათვის.

კონსტანტინე კორკელია

ლადო ჭანტურია/თედო ნინიძე, სამენარმეო სამართლის შესახებ კანონის კომენტარები
მესამე გამოცემა, თბილისი (სამართალი), 2002, ISBN 99940-703-0-4

გასული საუკუნის მინურულს მიღებულ კანონს მენარმეთა შესახებ უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის განვითარებაში როგორც სამართლებრივი, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით. მისი ცხოვრებაში სათანადოდ რეალიზაცია ერთ-ერთი ძირითადი წინაპირობაა თანამედროვე, თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პრინციპებით მოქმედი სამენარმეო საქმიანობის განვითარებისათვის.

კომენტარები კანონის დებულებათა ცხოვრებაში რეალიზაციის მიზანს ემსახურება. იგი ლადო ჭანტურიასა და თედო ნინიძის ავტორობით 1994 წელს კანონის მიღების დღიდან გამოდის უკვე მესამე რედაქციით. მუდმივად ცვალებადი ეკონომიკური გარემო და ამით განპირობებული სამართლებრივი ურთიერთობების ცვლილებები გამუდმებით აისახებოდა კანონის ტექსტზე. იცვლებოდა არა მარტო კანონი მენარმეთა შესახებ, არამედ ზოგიერთი სხვა საკანონმდებლო აქტიც; მიღებულ იქნა ახალი ნორმატიული აქტები, რომელთა მეშვეობითაც დაინერგა მნიშვნელოვანი თანამედროვე სტანდარტები, განსაკუთრებით, საფინანსო სფეროში; ეს კი, საბოლოო ჯამში, განსხვავებულ ელფერს სძენდა მენარმეთა შესახებ კანონის დებულებებს. ინტენსიურად ვითარდებოდა სასამართლო პრაქტიკაც; კონკრეტული საქმეების გადაწყვეტისას მოსამართლეები ახდენდნენ კანონის ნორმათა განმარტებას, რაც უდავოდ გასათვალისწინებელი იყო კომენტარების ახალ რედაქციაში.

გამოცემიდან გამოცემაში მენარმეთა შესახებ კანონის კომენტარები სულ უფრო უმჯობესდებოდა ზემოაღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით. მესამე გამოცემა მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია როგორც შინაარსობრივი, სიღრმისეული, ისე სტილისტური, სტრუქტურული თვალსაზრისით. ტექსტში ასახულია შესაბამის თემებზე ქართველი სპეციალისტების სამეცნიერო ნამუშევრები; გვხვდება მითითებები კონკრეტულ საქმეებზე.

განსაკუთრებით აღსანიშნავია მეოთხე თავი სააქციო საზოგადოებების შესახებ. 1999 წელს კანონის ამ ნაწილში შესული მნიშვნელოვანი ცვლილებების გამო აუცილებელი გახდა კომენტარების ძირფესვიანად გადაამუშავება. გაიზარდა მისი მოცულობა საკითხთა დეტალიზების, სასამართლო პრაქტიკასა და სამეცნიერო ლიტერატურაზე მითითებების ხარჯზე. ამით ერთგვარად შეივსო ის ობიექტური ხარვეზი, რაც წინა გამოცემებს სდევდა თან.

აღნიშნული გამოცემა დანართში კვლავაც გვთავაზობს სამენარმეო საზოგადოებების წესდებათა ნიმუშებს, რასაც დამატებით მოსდევს ორი მნიშვნელოვანი ნორმატიული აქტი და სამეცნიერო ლიტერატურის სია. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით სასიხარულოა ის, რომ უდიდესი ნაწილი ნაშრომებისა ქართველ სპეციალისტებს ეკუთვნით, რაც მოცემული სფეროსადმი სამეცნიერო წრეების მზარდ ინტერესზე მეტყველებს.

ამ გამოცემის ფონზე აშკარად გამოიკვეთა ქართული იურიდიული ლიტერატურის ხარისხობრივი და სტილისტური დახვეწის ტენდენცია. კომენტარებში აშკარად იგრძნობა თანამედროვე დასავლური სამეცნიერო ლიტერატურისათვის დამახასიათებელი სტრუქტურული და მეთოდოლოგიური სტანდარტების გავლენა, რაც თავისთავად მისასალმებელი ფაქტია და ხელს უწყობს არა მარტო ნაშრომის მიერ დასახული ძირითადი მიზნის მიღწევას, არამედ იძლევა ქართული იურისპრუდენციის შემდგომი ეფექტური განვითარების ორიენტირებს. ვფიქრობთ, მოცემული გამოცემა საინტერესო და მრავალსიმომტანი იქნება ნებისმიერი დაინტერესებული მკითხველისათვის.

ვახტანგ ზაალიშვილი

ქეთევან ლაფაჩი¹, საქართველოს კონკურენციული სამართლის შეფასება რასელ პიტმანის კრიტიკით, The Antitrust Bulletin, ტომი XLVII, ნომერი 1, გაზაფხული 2002, 187-215

ამერიკის შეერთებული შტატებში გამოცემულ ჟურნალში *The Antitrust Bulletin*, რომელიც ეძღვნება ამერიკისა და უცხოეთის ანტიტრასტული და ვაჭრობის რეგულირების საკითხებს, გამოქვეყნებულია ქეთევან ლაფაჩის სტატია „საქართველოს კონკურენციული სამართლის მიმოხილვა პიტმანის² კრიტიკით“³.

სტატიაში, ევროპული კავშირის კონკურენციული სამართლის, აშშ-ისა და პოსტსოციალისტური ქვეყნების ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის ძირითადი დებულებების ანალიზისა და კანონმდებლობის პრაქტიკული გამოყენების სფეროში ავტორის გამოცდილების გათვალისწინებით, განხილულია და შეფასებულია საქართველოს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობის ძირითადი დებულებები და დასახულია მათი სრულყოფის მიმართულებები. ანტიმონოპოლიური რეგულირების მიზნებისა და ძირითადი მიმართულებების გათვალისწინებით, სტატიაში სპეციალური პარაგრაფები ეძღვნება ანტიკონკურენციულ შეთანხმებებთან დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენებასა და გაერთიანებებთან (შერწყმასთან) დაკავშირებულ სამართლებრივ დებულებებსა და მათი პრაქტიკული რეალიზების მექანიზმებს.

პოსტსოციალისტური ქვეყნებისათვის დამახასიათებელი პრობლემების (მათ შორის აღმასრულებელი ორგანოების ზედმეტი მისწრაფება ბიზნესის არასაბაზრო მეთოდებით კონტროლისადმი) გათვალისწინებით, სტატიაში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა, აგრეთვე, აღმასრულებელი და ადმინისტრაციული ორგანოების ანტიკონკურენციულ ქმედებებთან და ფასწარმოქმნის პროცესების კონტროლთან დაკავშირებულ სამართლებრივ დებულებებს, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილიც, ავტორის აზრით, არ შეესაბამება თავისუფალი საბაზრო ფასწარმოქმნის პრინციპებს და არ ემსახურება კონკურენციული პოლიტიკის ძირითად მიზნებსა და ამოცანებს.

ტატო ურჯუმელაშვილი

¹ ქეთევან ლაფაჩი – 1997-2001 წლებში საქართველოს სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსის მოადგილე; 2002 წლიდან საქართველოს ფასიანი ქაღალდების ეროვნული კომისიის წევრი.

² რასელ პიტმანი – აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის ანტიტრასტული განყოფილების ეკონომიკური კვლევისა და ანალიზის ჯგუფის დირექტორი.

³ რასელ პიტმანის კრიტიკით – ანალიტიკური მიდგომა, რომელიც გამოყენებულია რასელ პიტმანის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის პოსტსოციალისტური ქვეყნების კონკურენციული სამართლის საკითხებისადმი მიძღვნილ ნაშრომებში.